მუხლი 136. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპები მუხლი 137. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა საკასო მეთოდით მუხლი 138. საკასო მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი მუხლი 139. საკასო მეთოდით ხარჯების გაწევის მომენტი მუხლი 140. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა დარიცხვის მეთოდით მუხლი 141. დარიცხვის მეთოდით შემოსავლების მიღების მომენტი მუხლი 142. დარიცხვის მეთოდით ხარჯების გაწევის მომენტი მუხლი 143. თანამფლობელობა მუხლი 149. მოგების ან ზარალის აუდიარებლობა მუხლი 150. იურიდიული პირის ლიკვიდაცია მუხლი 151. იურიდიულ პირში წილის (აქციების) სანაცვლოდ აქტივების შეტანა მუხლი 152. იურიდიული პირის რეორგანიზაცია თავი XX. გადასახადების ადმინისტრირების წესები (არაპრიორიტეტული) მუხლი 153. დეკლარაციის წარდგენა მუხლი 154. გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი მუხლი 155. მიმდინარე გადასახდელები პარი VI. დამატებული ღირებულების გადასახადი (პრიორიტეტული) თავი XXI. ზოგადი დებულებანი მუხლი 156. გადასახადის გადამხდელი მუხლი 157. სავალდებულო რეგისტრაცია მუხლი 158. ნებაყოფლობითი რეგისტრაცია მუხლი 159. რეგისტრაციის გაუქმება თავი XXII. დაბეგვრის ობიექტი, დასაბეგრი ოპერაციის თანხის განსაზღვრა, დრო და ადგილი მუხლი 160. დაბეგვრის ობიექტი მუხლი 161. დასაბეგრი ოპერაცია, ოპერაციის თანხა და დრო მუხლი 162. იმპორტი, იმპორტის თანხა და დრო მუხლი 163. ექსპორტი/რეექსპორტი, ექსპორტის/რეექსპორტის თანხა და დრო მუხლი 164. საქონლის დროებითი შემოტანა, დროებითი შემოტანის თანხა და დრო მუხლი 165. საქონლის მიწოდების ადგილი	
---	--

	მუხლი 166. მომსახურების გაწევის ადგილი თავი XXIII. დღგ-ისგან გათავისუფლების მარეგულირებელი წესები და გადასახადისაგან გათავისუფლება მუხლი 167. გადასახადისაგან გათავისუფლება და მისი გამოყენების წესი მუხლი 168. გადასახადისაგან გათავისუფლება თავი XXIV. გადასახადის გამოანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის წესი მუხლი 169. დღგ-ის განაკვეთები მუხლი 170. ბიუჯეტში შესატანი დღგ მუხლი 171. დეკლარაციის წარდგენა და დღგ-ის გადახდა მუხლი 172. დღგ-ის საანგარიშო პერიოდი თავი XXV. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და დღგ-ის ჩათვლა მუხლი 173. დღგ-ის ჩათვლა მუხლი 174. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა მუხლი 175. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მუხლი 175.1. ანგარიშ-ფაქტურა თავი XXVI სპეციალური წესები მუხლი 176. უკუდაბეგვრა მუხლი 176.1. ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრა მუხლი 177. შერეული ოპერაცია მუხლი 178. წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ოპერაცია მუხლი 179. დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება მუხლი 180. გრანტით შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე და დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დარიცხულ დღგ-ის თანხაზე გადამეტების შემთხვევაში დღგ-ის ჩათვლა ან დაბრუნება მუხლი 181. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხის დაბრუნება პარი VII. აქციზი (არაპრიორიტეტული) თავი XXVII. აქციზი მუხლი 182. აქციზის გადამხდელი მუხლი 183. დაბეგვრის ობიექტი მუხლი 184. დასაბეგრი ოპერაცია, დასაბეგრი ოპერაციის დრო მუხლი 185. დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხის განსაზღვრა
--	---

	მუხლი 186. აქციზური საქონლის იმპორტი და იმპორტის დრო მუხლი 187. აქციზური საქონლის ექსპორტი და ექსპორტის დრო მუხლი 188. აქციზის განაკვეთები მუხლი 189. აქციზის ჩათვლა მუხლი 190. აქციზის გადახდის წესი მუხლი 1901. ცალკეულ შემთხვევებში აქციზით დაბეგვრა მუხლი 191. დეკლარაციის წარდგენა მუხლი 192. აქციზური მარკები მუხლი 1921. არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება მუხლი 193. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მუხლი 194. აქციზისაგან გათავისუფლების მარეგულირებელი წესები კარი IX. ადგილობრივი გადასახადი (პრიორიტეტული) თავი XXIX. ქონების გადასახადი მუხლი 200. ცნებების მნიშვნელობა ამ კარის მიზნებისათვის მუხლი 201. ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი მუხლი 202. ქონებაზე გადასახადის განაკვეთი მუხლი 203. მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი მუხლი 204. მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი მუხლი 205. ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდა მუხლი 206. გადასახადისგან გათავისუფლება თავი XXXII. სახელმწიფო კონტროლი და სახელმწიფო ზედამხედველობა (არაპრიორიტეტული) მუხლი 214. საბაჟო კონტროლის განხორციელება მუხლი 215. საქონლის შემოტანა, გატანა, გაფორმება მუხლი 216. საქონლის დროებით შენახვა მუხლი 217. სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადა მუხლი 218. საბაჟო დეკლარაცია მუხლი 219. საბაჟო კონტროლისაგან გათავისუფლება მუხლი 220. საქონლის გაშვება მუხლი 221. საქონლის განკარგვა მუხლი 222. საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დრო თავი XXXIV. სასაქონლო ოპერაციები (არაპრიორიტეტული) მუხლი 227. სასაქონლო ოპერაციები
--	---

	მუხლი 228. იმპორტი მუხლი 229. ექსპორტი მუხლი 230. ტრანზიტი მუხლი 231. საწყობის სასაქონლო ოპერაცია და საბაჟო საწყობი მუხლი 232. თავისუფალი ზონა მუხლი 233. რეექსპორტი მუხლი 234. შიდა გადამუშავება და გარე გადამუშავება მუხლი 235. შიდა გადამუშავება მუხლი 236. გარე გადამუშავება მუხლი 237. დროებითი შემოტანა <u>კარი XI. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა</u> თავი XXXV. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა <u>კარი XII. საგადასახადო კონტროლი</u> თავი XXXVI. ძირითადი დებულებანი (არაპრიორიტეტული) მუხლი 255. ზოგადი დებულებანი საგადასახადო კონტროლთან დაკავშირებით თავი XXXVII. მიმდინარე კონტროლის პროცედურები მუხლი 256. ზოგადი დებულებანი პირის საქმიანობის მიმდინარე კონტროლთან დაკავშირებით მუხლი 257. ქრონომეტრაჟი მუხლი 2571. საგადასახადო მონიტორინგი მუხლი 258. საკონტროლო შესყიდვა მუხლი 259. საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი მუხლი 260. დათვალიერება მუხლი 261. ინვენტარიზაცია თავი XXXVIII. საგადასახადო შემოწმება მუხლი 262. საგადასახადო შემოწმების სახეები მუხლი 263. კამერალური საგადასახადო შემოწმება მუხლი 264. გასვლითი საგადასახადო შემოწმება მუხლი 265. გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება მუხლი 266. საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება მუხლი 267. საგადასახადო შემოწმების აქტი მუხლი 268. საგადასახადო შემოწმების აქტის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანა
--	--

	კარი XIII. საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა თავი XXXIX. ზოგადი დებულებანი მუხლი 269. საგადასახადო სამართალდარღვევა და საგადასახადო პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები მუხლი 270. საგადასახადო სანქცია მუხლი 271. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება თავი XL. საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა მუხლი 272. საურავი მუხლი 273. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა მუხლი 274. საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა მუხლი 275. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება მუხლი 276. სათამაშო ბიზნესის საქმიანობის წესების დარღვევა მუხლი 277. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა მუხლი 278. ყადაღადადებული ქონების განკარგვა და საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს ლუქის ახსნა მუხლი 279. საგადასახადო ორგანოსათვის ინფორმაციის წარუდგენლობა მუხლი 280. გადასახადის უკანონო ჩათვლა მუხლი 281. საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა მუხლი 282. დღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა მუხლი 283. ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა მუხლი 284. საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან ფინანსური ოპერაციების განხორციელების ან/და ფინანსური მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის ნებადართული ნორმის გადამეტება მუხლი 285. ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება მუხლი 286. საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა მუხლი 288. მიკრო და მცირე ბიზნესის საქმიანობის წესის დარღვევა
--	---

	მუხლი 288(4). საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ არასწორი ინფორმაციის წარდგენა მუხლი 289. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები მუხლი 290. სანებართვო პირობების შეუსრულებლობა მუხლი 291. სხვა ჯარიმები თავი XLI. საგადასახადო შეთანხმება მუხლი 292. საგადასახადო შეთანხმების არსი მუხლი 293. საგადასახადო შეთანხმების გაფორმება მუხლი 294. საგადასახადო შეთანხმების ფორმა მუხლი 295. საგადასახადო შეთანხმების გასაჩივრება გარი XIV. საგადასახადო დავა (არაპრიორიტეტული) თავი XLII. საგადასახადო დავის წარმოება მუხლი 296. ზოგადი დებულებანი მუხლი 297. საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოები მუხლი 298. საგადასახადო დავის პრინციპები მუხლი 299. საგადასახადო დავის დაწყება მუხლი 300. საჩივრის წარმოებაში მიღება მუხლი 301. საჩივრის განხილვაზე უარის თქმა მუხლი 302. საჩივრის განხილვა მუხლი 303. საჩივრის განხილვის შეჩერება მუხლი 304. დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება მუხლი 305. გადაწყვეტილების გასაჩივრება მუხლი 306. გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და შესრულება მუხლი 307. გადაწყვეტილების განმარტება მუხლი 308. დავის განახლება
საათების მოცულობა	96 საათი - 48 აკადემიური და 48 დამოუკიდებელი
სასწავლო ლიტერატურა	1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2. საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები 3. მენუალები

განმარტება, სასწავლო კურსის - საგადასახადო დაბეგვრა - სილაბუსთან დაკავშირებით:

სერტიფიცირების კანდიდატებისთვის მნიშვნელოვანია სილაბუსში მონიშნული „არაპრიორიტეტული“ თემების ცოდნა, თუმცა, ეს თემები საგამოცდო საკითხებში არ იქნება შეტანილი

4. სასწავლო კურსის სილაბუსი - ქართული ბიზნესსამართალი

სასწავლო კურსის დასახელება	ქართული ბიზნესსამართალი
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია კანდიდატებს ასწავლოს: • სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი დებულებები; • სამართლებრივი ჩარჩო მექანიზმები, რაც პირდაპირ კავშირშია მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობასთან. დამსაქმებელთა ინტერესების დაცვა და დავალებების შესრულება, მათი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებთან თუ კერძო იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობებში.
სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსი მოიცავს 4 კვირას. სწავლების მიდგომა გულისხმობს კვირაში ერთჯერად 4-საათიან სააუდიტორიო და 4-საათიან დამოუკიდებელ მუშაობას. სასწავლო პროცესს უძღვება ბაფის შვილო-ბილი საწარმო შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“. სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა.
სასწავლო კურსის თემატიკა	1. სამართლის არსი, პრინციპები, ნორმატიული აქტები 1.1 სამართლის ცნება, სისტემები და დარგები 1.2 სამართლის პრინციპები 1.3 ნორმატიულ აქტებთან იერარქია 2. იურიდიული პირის ცნება, მისი შექმნისა და ფუნქციონირების სამართლებრივი რეგულირება 2.1. ფიზიკური და იურიდიული პირების განმარტება 2.3. იურიდიული პირების კლასიფიკაცია 2.4. იურიდიული პირის შექმნის საფუძვლები 3. სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები 3.1. სამეწარმეო საქმიანობის ცნება 3.2. მეწარმე სუბიექტების ცნება და კლასიფიკაცია 3.3. საწარმოს დაფუძნების საფუძვლები კაზუსები და პრაქტიკული მაგალითები 4. სანივთო სამართალი 4.1 ქონების ცნება 4.2 მფლობელობისა და საკუთრები ცნებები 4.3. შეზღუდული სანივთო უფლებები 4.4. გირავნობა

	4.5. იპოთეკა კაზუსები და პრაქტიკული მაგალითები 5. ვალდებულებითი სამართალი 5.1. ვალდებულებითი სამართლის პრინციპები 5.2. ხელშეკრულების რაობა 5.3. ხელშეკრულების ფორმები 5.4. ზიანი და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები კაზუსები და პრაქტიკული მაგალითები 6. შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება 6.1. შრომის სამართლის პრინციპები 6.2 შრომითი ურთიერთობის სუბიექტები 6.3. შრომითი ურთიერთობის ფორმები 6.4. სამუშაო 6.5. შრომითი ურთიერთობის შეჩერება, შეწყვეტა 6.6 გაფიცვა, ლოკაუტი კაზუსები და პრაქტიკული მაგალითები 7. გაკოტრების სამართლებრივი რეგულაცია 7.1. გაკოტრების ცნება 7.2. რეაბილიტაციის ცნება 7.3. გაკოტრების რეგულაციები კაზუსები და პრაქტიკული მაგალითები
სასწავლო კურსის საათების მოცულობა	32 საათი - 16 აკადემიური და 16 დამოუკიდებელი
სასწავლო ლიტერატურა დამხმარე მასალა	1. ქართული ბიზნესსამართალი – სახელმძღვანელო და პრაქტიკული სავარჯიშოები, © ბაფი 2024 2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; 3. საქართველოს შრომის კოდექსი; 4. საქართველოს კანონი - გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ; 5. საქართველოს კანონი - რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ.

5. სასწავლო კურსის სილაბუსი - ინფორმაციული ტექნოლოგიები

სასწავლო კურსის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
-------------------------------	---------------------------

სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია, კანდიდატს მისცეს შესაბამისი ცოდნა: პროფესიულ საქმიანობაში თავისუფლად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო სისტემები და პროგრამები. კერძოდ, ასწავლოს: Windows ოპერაციულ სისტემა; ტექსტური რედაქტორი MS Word; ელექტრონული ცხრილი MS Excel; ლოკალური ქსელი და ინტერნეტი; საბუღალტრო პროგრამები და მათი გამოყენება.
სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსი მოიცავს 4 კვირას. სწავლების მიდგომა გულისხმობს კვირაში ორჯერ 4-საათიან სააუდიტორიო და 2-საათიან დამოუკიდებელ მუშაობას. სასწავლო პროცესს უძღვება ბაფის შვილობილი საწარმო შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“. სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა.
სასწავლო კურსის თემატიკა	ელექტრონული ცხრილი MS Excel 18. ეკრანის აღწერა, სვეტებისა და სტრიქონების ზომების ცვლილება, მონიშვნები 19. ტექსტების შეტანა, გასწორება უჯრაში, რედაქტირება 20. რიცხვების შეტანა, ფორმატირება, ათწილადი რიცხვები 21. ფორმულების შეტანა, გადავრცელება, ავტოჯამი 22. აბსოლუტური მისამართის გამოყენება 23. მუშაობა ფურცლებთან 24. ცხრილში სტრიქონებისა და სვეტების ჩასმა, კოპირება-გადატანა 25. ცხრილის დათვალიერების რეჟიმები, ნუმერაცია, კოლონტიტულები 26. მონაცემების მართვა და ანალიზი: დალაგება, ფილტრაცია, ქვეჯამები 27. დიაგრამები, ფუნქციები ლოკალური ქსელი და ინტერნეტი 28. მუშაობა ქსელში, საქაღალდის გაზიარება, ფაილის გადმოწერა (ან პირიქით) ქსელში ჩართული სხვა კომპიუტერიდან 29. ინტერნეტი: ვებ გვერდებთან მუშაობა (გახსნა, გადასვლა სხვა გვერდზე, დაბრუნება უკან და ა.შ) 30. ელექტრონული ფოსტა: ფაილების გაგზავნა და მიღება 31. MS Outlook ელ. ფოსტის კლიენტი საბუღალტრო პროგრამები 1. საბუღალტრო პროგრამის მწარმოებლის ვებ გვერდზე შესვლა და პროგრამის ჩამოტვირთვა და დაყენება. სიახლეების მოძიება. 2. ახალი ორგანიზაციის ბაზის შექმნა. ორგანიზაციის რეკვიზიტების შეტანა 3. ანგარიშთა გეგმა: ახალი ანგარიშების, ქვეანგარიშების დამატება, წაშლა, რედაქტირება 4. საწყისი ნაშთების შეტანა 5. მარაგების რაოდენობრივი აღრიცხვა, განზომილების ერთეულები

	7. გატარებების შეტანა და მასზე ოპერაციების წარმოება (წაშლა, დუბლირება, კორექტირება და ა.შ) 8. დიაპაზონები (ანალიზური, საოპერაციო და სხვ) 9. ნაშთები, ბრუნვები, ბარათი (ამონაწერი) 10. ოპერაციების კორექტირება, წაშლა, კოპირება (დუბლირება) 11. მუშაობა პირველად დოკუმენტებთან (საგადახდო დავალება, შემოსავალ-გასავლის ორდერები, ს. ზედნადები და სხვ.) 12. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა 13. ხელფასი 14. მონაცემების ასლების აღება და აღდგენა 15. მონაცემების ძებნა, ფილტრაცია, დალაგება, ექსელში გადატანა და სხვ. 16. ოპერაციები ვალუტებზე 17. რს.გე-სთან კავშირი 18. დეკლარაციებისათვის და ანგარიშგებებისათვის საჭირო ინფორმაციის ამოღება პროგრამიდან და მისი მომზადება შესაბამის საიტზე ასატვირთად 19. ბანკის ამონაწერის იმპორტი და ექსპორტი 20. ბალანსი, მოგება ზარალი, პერიოდის ბოლოს შემოსავლებისა და ხარჯების გადახურვა
სასწავლო კურსის საათების მოცულობა	36 საათი - 28 აკადემიური და 8 დამოუკიდებელი
სასწავლო ლიტერატურა	1. ინფორმაციული ტექნოლოგიები - შემდგენელი თემურ აბესაძე © ბაფი 2024

6. სასწავლო კურსის სილაბუსი - აუდიტის საფუძვლები

სასწავლო კურსის დასახელება	აუდიტის საფუძვლები
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია, კანდიდატს მისცეს ზოგადი ცოდნა შემდეგ საკითხებზე: • ბიზნესისთვის აუდიტორული მომსახურების მნიშვნელობა და მოსალოდნელი სარგებელი; • აუდიტორული საქმიანობის რეგულირება საქართველოში; • აუდიტორის შერჩევის პრინციპები და აუდიტის პროცესის ახსნა, მენეჯმენტის და ბუღალტრის აუდიტორებთან თანამშრომლობის პრინციპები; • აუდიტორული დასკვნის სახეები.

სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსი მოიცავს 1 კვირას. სწავლების მიდგომა გულისხმობს კვირაში ორჯერ 4-საათიან სააუდიტორიო და 8-საათიან დამოუკიდებელ მუშაობას. სასწავლო პროცესს უძღვება ბაფის შვილობილი საწარმო შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“. სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა.
სასწავლო კურსის თემატიკა	• აუდიტის მიზანი და საგანი • აუდიტის მნიშვნელობა ბიზნესისთვის • აუდიტორული საქმიანობის რეგულირება საქართველოში • აუდიტორის შერჩევის პრინციპები და აუდიტის პროცესის ახსნა, მენეჯმენტის და ბუღალტრის აუდიტორებთან თანამშრომლობის პრინციპები • აუდიტორული დასკვნის სახეები და მათი მიმოხილვა
სასწავლო კურსის საათების მოცულობა	16 საათი - 8 აკადემიური და 8 დამოუკიდებელი
სასწავლო ლიტერატურა	1. აუდიტის საფუძვლები, შემდგენელი - ლავრენტი ჭუმბურიძე, ბაფი 2024; 2. აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება, ბაფი 2024 წელი

7. სასწავლო კურსის სილაბუსი - პროფესიული ეთიკა

სასწავლო კურსის დასახელება	პროფესიული ეთიკა
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია კანდიდატს ასწავლოს: • ძირითადი ეთიკური პრინციპები; • პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების საქმიანობასა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კონტექსტში; • ეთიკური პრობლემების იდენტიფიცირება/გამოვლენა და მათი გადაჭრის ღონისძიებების დაგეგმვა; • პროფესიული ეთიკის ნორმის დარღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელი დისციპინარული სანქციები/სასჯელი.
სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსი მოიცავს 1 კვირას. სწავლების მიდგომა გულისხმობს კვირაში ორჯერ 4-საათიან სააუდიტორიო და 8-საათიან დამოუკიდებელ მუშაობას. სასწავლო პროცესს უძღვება ბაფის შვილობილი საწარმო შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“. სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ლექცია, პრაქტიკული მუშაობა და დამოუკიდებელი მუშაობა.

სასწავლო კურსის თემატიკა	• ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის როლი პროფესიაში • ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები და კონცეპტუალური მიდგომები • ეთიკის კოდექსის მოთხოვნები ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრებისათვის • ბუღალტრულ პროფესიასა და საზოგადოებაზე არაეთიკური ქცევის გავლენის/შედეგების გაანალიზება • ძირითადი ეთიკური პრინციპების: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის გამოყენება ეთიკურ დილემასთან მიმართებით და დილემის გადაჭრის სათანადო მიდგომის განსაზღვრა • პრაქტიკული/ სიტუაციური მაგალითების განხილვა
სასწავლო კურსის საათების მოცულობა	16 საათი - 8 აკადემიური და 8 დამოუკიდებელი
სასწავლო ლიტერატურა	ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი 2024. ლინკი: https://saras.gov.ge/ - ეთიკის კოდექსი

სერტიფიცირების გამოცდები

კანდიდატის პროფესიული კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი გამოცდის ჩაბარებით. გამოცდა (გარდა კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოყენებისა) ერთად ტარდება, სასწავლო კურსების აგრეგირებული მოდულების მიხედვით.

ერთიან (აგრეგირებულ) გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოყენების უნარების დადასტურება, რომელიც მოწმდება გამოცდამდე 1-3 დღით ადრე.

გამოცდა ტარდება ტესტებისა და ამოცანების გამოყენებით, რომლებიც სრული კონფიდენციალობის პირობებში მზადდება ყოველი გამოცდისათვის და კანდიდატისთვის ცნობილი ხდება გამოცდის დაწყების მომენტში. საგამოცდო პროგრამა, შედეგების შეფასების ზოგადი პრინციპი და გამსვლელი ქულა პრეტენდენტს წინასწარ განემარტება.

სასწავლო კურსებთან ერთად პროფესიული კომპეტენციის გამოცდაზე მოწმდება, ასევე, სხვა კომპეტენციის სფეროები. კერძოდ:

1. ზოგადი უნარები;
2. კომუნიკაციის უნარები;
3. პიროვნული უნარები;
4. ორგანიზაციული უნარები.

სერტიფიცირების გამოცდები ტარდება წელიწადში ორჯერ: იანვარსა და ივნისში.

კანდიდატთა შეფასების სისტემა

კანდიდატების პროფესიული კომპეტენციის შეფასება ეფუძნება სასერტიფიკაციო გამოცდებს და გამომუშავებულ უნარ-ჩვევებს. სასერტიფიკაციო გამოცდით კანდიდატის კომპეტენცია ფასდება 100-ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება კანდიდატის მიერ 60 ქულის ან მეტის მიღების შემთხვევაში.

კანდიდატის მიერ გამომუშავებული უნარ-ჩვევები ფასდება: საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების გამოყენების ტესტირებით; აღრიცხვა-ანგარიშგების სფეროში პრაქტიკული გამოცდილების დოკუმენტური დადასტურებით.

გამოცდისაგან გათავისუფლება

მსბ ბუღალტერთა სერტიფიცირების გამოცდებისგან განთავისუფლებული არიან ბაფის პროფესიული სერტიფიცირების (ACCA-ის ქართულ ენაზე ადაპტირებული) პროგრამის პირველი ორი საფეხურის კურსდამთავრებულები.

სერტიფიკატი

მსბ ბუღალტერთა სასერტიფიკაციო პროგრამის დასრულებისა და სათანადო უნარ-ჩვევების დადასტურების შედეგად კანდიდატს ენიჭება მსბ სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი. ამ სტატუსის დამადასტურებლად ბაფი სერტიფიცირებულ ბუღალტერს გადასცემს შესაბამის სერტიფიკატს.

გაცემული სერტიფიკატების მფლობელების ერთიანი ბაზა ხელმისაწვდომი იქნება ბაფის ვებგვერდზე baf.ge - მსბ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ერთიანი რეესტრი.

სერტიფიკატი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სახელი, გვარი;
- ბ) პირადი ნომერი;
- გ) სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციის ლოგო;
- დ) სერტიფიკატის ნომერი;
- ე) სერტიფიკატის გაცემის თარიღი.
- ვ) ბაფის სრული სახელწოდება და საინდენტიფიკაციო ნომერი, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ინფორმაცია სასერტიფიკაციო პროგრამის შესაბამისი ლიტერატურის შესახებ

პროგრამა სრულად მოიცავს მსბ ბუღალტრის პროფესიული კომპეტენციის გამოცდაზე შესაძლებელი სასწავლო კურსის სახელმძღვანელო ლიტერატურას, კერძოდ:

- პროგრამისთვის ბაფის მიერ სპეციალურად შემუშავებული სახელმძღვანელო და პრაქტიკული სავარჯიშოები:
 1. მსბ ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება- ავტორები: ლევან საბაური; ნადეჟდა კვატაშიძე; ანჟელი ხორავა; ზეინაზ გოგრიჭიანი. © ბაფი 2024
 2. მმართველობითი აღრიცხვა - ავტორი მერაბ ჯიქია, © ბაფი 2024

1. ქართული ბიზნესსამართალი - ავტორი ანა ხარაიშვილი. ©, ბაფი 2024
 2. აუდიტი და მარწმუნებელი საქმიანობა - ბაფი 2024; აუდიტის საფუძვლები - შემდგენელი ლავრენტი ჭუმბურიძე. © ბაფი 2024
 3. ინფორმაციული ტექნოლოგიები - შემდგენელი თემურ აბესაძე © ბაფი 2024
- პროგრამაში ძირითად სახელმძღვანელო ლიტერატურად, აგრეთვე, გამოიყენება:
 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
 2. ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი 2024

სასერტიფიკაციო გამოცდების მომზადებისა და მართვის პოლიტიკა და პროცედურები

1. შესავალი

მსბ სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მამიებელი კანდიდატების გამოცდების მართვის პოლიტიკა და პროცედურები დამტკიცებულია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის განათლების კომიტეტის მიერ.

2. კანდიდატების დაშვება გამოცდაზე

გამოცდის ჩატარების თარიღამდე ბაფი ატარებს კონტროლის ზომებს, რათა უზრუნველყოს გამოცდის ჩაბარება (ა) მხოლოდ უფლებამოსილი კანდიდატების მიერ და (ბ) ისეთ პირობებში, რომელიც სამართლიანია კანდიდატისათვის, მაგალითად კანდიდატების სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილება.

პირის გამოცდაზე დასაშვებად აუცილებელია ბაფში კანდიდატად რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზანია იმაში დარწმუნება, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობისთვის დადგენილ მოთხოვნებს. გამოცდაზე დასაშვებად პირს ბაფში წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს:

- კანდიდატის ანკეტა;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროფილით მუშაობის დამადასტურებელი საბუთი;
- საგამოცდო გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი საბუთი

გამოცდაზე რეგისტრაცია წყდება საგამოცდო თარიღამდე 15 დღით ადრე. რეგისტრაციის შეწყვეტის შემდეგ განათლების კოორდინატორი ამზადებს კანდიდატების ერთიან სიას და გადასცემს საგამოცდო კომისიას.

საგამოცდო კომისია ადგენს საგამოცდო ცენტრში საგამოცდო ოთახების მიხედვით კანდიდატების განაწილების შესაძლებლობებს და ამზადებს კანდიდატების განთავსების გეგმას.

კანდიდატებისათვის განკუთვნილი ინსტრუქციები

კანდიდატებს რეგისტრაციის დროს გადაეცემათ სამახსოვრო, სასერტიფიკაციო პროგრამაში მონაწილეობისა და საგამოცდო ინსტრუქციებთან დაკავშირებით.

კანდიდატებს შესაძლებლობა აქვთ გამოცდის თარიღამდე გაეცნონ საგამოცდო წესებს/ინსტრუქციებს ბაფის ვებგვერდის გამოყენებით.

კანდიდატებისათვის განკუთვნილი ინსტრუქციები მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ინფორმაციას:

- კანდიდატის გამოცდაზე დაშვების კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ წესებს;
- გამოცდის ჩატარების დროსა და ხანგრძლივობას;
- საგამოცდო ცენტრში გამოცხადებისა და საგამოცდო ცენტრის დატოვების დროსთან დაკავშირებულ წესებს;

- გამოცდაზე დაშვებულ ნივთებს: კალმები, კალკულატორები;
- ვინაობის დამადასტურებელ დოკუმენტის მოთხოვნილ ფორმას;
- არასათანადო მოქცევის განმარტებას და მასთან დაკავშირებულ სანქციებს;
- ინფორმაციას შედეგების შეტყობინების შესახებ;
- სპეციალური განხილვის /გასაჩივრების პროცესს.

სპეციალური საჭიროებების მქონე კანდიდატები

სპეციალური საჭიროებების მქონე კანდიდატებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი ტიპის საშუალებები:

დაქვეითებული სმენის შემთხვევაში, კანდიდატის განაცხადის საფუძველზე საგამოცდო კომისიის მიერ მომზადდება დამატებითი წერილობითი ინსტრუქცია;

დაქვეითებული მხედველობისას, კანდიდატის განაცხადის საფუძველზე, საგამოცდო კითხვები მომზადდება უფრო დიდი შრიფტით. უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური განათება, გამოცდის წაკითხვაში დახმარებისათვის დამატებითი დროის გამოყოფა (საკითხი გადაწყდება ინდივიდუალურად);

საგამოცდო ცენტრის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება შეზღუდული მობილურობის მქონე კანდიდატების მდგომარეობა და შეირჩევა ისეთი ობიექტი, სადაც ფიზიკურად ადვილია შესვლა. გარდა ამისა, შეიძლება საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით, მათ ასევე დამატებითი დროც გამოეყოთ;

სპეციალური საჭიროებების მქონე კანდიდატებმა საგამოცდო კომისიას უნდა მიმართონ განაცხადებით გამოცდის თარიღამდე ერთი თვით ადრე.

3. გამოცდის ჩატარება

საგამოცდო ცენტრის შერჩევა

ყველა კანდიდატის გამოცდა ტარდება ერთიდაიგივე დღეს, ერთ საგამოცდო ცენტრში. გამოცდაზე ზედამხედველობას ახორციელებენ ბაფის საგამოცდო კომისიის მიერ შერჩეული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ზედამხედველები.

შესაძლებელია საგამოცდო პროცესზე დაკვირვება, დამკვირვებლის სტატუსით. დამკვირვებლის სტატუსის მისაღებად აუცილებელია წერილობითი მიმართვა ბაფის განათლების კომიტეტისათვის, გამოცდებამდე მინიმუმ 5 დღით ადრე.

საგამოცდო ცენტრის შესარჩევად გამოიყენება კრიტერიუმები, რომლის მიხედვით ყველა კანდიდატს ექმნება ერთნაირი და გონივრული კომფორტი და ამავე დროს უზრუნველყოფილი იქნება საგამოცდო პროცესის უსაფრთხოება და დაცულობა. კერძოდ, ცენტრის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება:

- კომფორტულია თუ არა, არის თუ არა სათანადო გათბობის და გაგრილების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფილია თუ არა სათანადო განათებითა და ვენტილაციით;
- აკმაყოფილებს თუ არა სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებს და აქვს თუ არა ადვილად მისადგომი საავარიო გასასვლელები;
- შესაძლებელია თუ არა კანდიდატებს შორის საკმარისი მანძილის დაცვა. საკმარისი მანძილის განმსაზღვრელია შემდეგი:
 - ✓ 2.2 კვ.მ. ფართობი ერთ კანდიდატზე;

- ✓ ინდივიდუალური მაგიდები ზომით 0,5მ. x 0,75 მ-ზე;
- ✓ მაგიდების დაშორება წინ, უკან ან გვერდით მდგომი მაგიდიდან 1 მ.
- ✓ ინდივიდუალური მაგიდის ალტერნატივაა 1,8-2 მ. სიგრძის მაგიდა 2 კანდიდატისათვის;
- დაცულია თუ არა ხელშემშლელი ხმაურისგან;
- გამოყოფილია თუ არა სამუშაო ადგილი ზედამხედველებისთვის;
- საათი ისეთ ადგილას არის თუ არა განთავსებული, რომ ყველა კანდიდატს შეეძლოს მისი დანახვა;
- შესაძლებელია თუ არა ოთახში შესვლისა და გამოსვლის გაკონტროლება; და
- ტუალეტები მოწყობილია თუ არა ხელსაბანებისთვის გამოცალკევებული ადგილით, საიდანაც შეიძლება შესვლისა და გამოსვლის გაკონტროლება.

4. გამოცდებისთვის მომზადება და საგამოცდო პროცედურები

გამოცდებისათვის მომზადება

- კანდიდატი მსბ ბუღალტერთა სერტიფიცირების გამოცდებისათვის ემზადება დამოუკიდებლად ან/და: ბაფის სასწავლო ცენტრში, სხვა პროფესიულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებებში;
- გამოცდებისათვის მოსამზადებლად კანდიდატები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი სახელმძღვანელო ლიტერატურით;
- გამოცდების ჩატარებას ხელმძღვანელობს საგამოცდო კომისია;
- საგამოცდო კომისია უზრუნველყოფს საგამოცდო ტესტების მომზადებას და კანდიდატთა ცოდნის შეფასებას.
- საგამოცდო კომისიის ვალდებულებაა კანდიდატთა ცოდნის შეფასება და გასაჩივრებული ნამუშევრის განხილვა.

გამოცდების განრიგი და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა:

გამოცდების თარიღი ქვეყნდება გამოცდებამდე 3 თვით ადრე.

სერტიფიცირების გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც გამოავლენს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოყენების უნარს, 1-3 დღით ადრე ჩატარებულ გამოცდაზე.

კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოყენების უნარების დასადასტურებელი ტესტირების ხანგრძლივობაა 2 საათი, ხოლო სერტიფიცირების გამოცდის ხანგრძლივობა 4 ასტრონომიული საათი.

საგამოცდო პროცედურები

- კანდიდატი ვალდებულია, გამოცდამდე არა უგვიანეს 15 დღით ადრე გამოცდაზე დარეგისტრირდეს გამოცხადებული წესების მიხედვით.
- კანდიდატი გამოცდაზე დაიშვება პირადობის მოწმობისა და ბაფის წევრობისა მოწმობის წარდგენის შემდეგ.
- გამოცდების დამთავრების შემდეგ კოდირებული ნამუშევრები გადაეცემა შემფასებლებს.

- ნამუშევრების შეფასების პროცედურები უნდა დასრულდეს გამოცდების დამთავრებიდან 20 დღის ვადაში.
- წარმატებულად მიიჩნევა კანდიდატის ნამუშევარი, რომელიც შესაძლო მაქსიმალური 100 ქულიდან დაიმსახურებს მინიმუმ 60 ქულას და მეტს.
- შედეგების გამოცხადებამდე, ხელახალ შეფასებას ექვემდებარება ნაშრომი, რომლის შეფასება მოექცევა 55-65 ქულიან შუალედში.
- კანდიდატი უფლებამოსილია გაასაჩივროს შეფასების შედეგი მისი გამოცხადებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.
- კანდიდატმა უნდა გადაიხადოს გასაჩივრების შესაბამისი თანხა (50 ლარი) და საგამოცდო კომისიისაგან მოითხოვოს ნაშრომის ანალიზი, თუ კანდიდატს გამოცდის შეფასების ქულა შეეცვალა და დააკმაყოფილა შეფასების სტანდარტი, მას უბრუნდება გადახდილი (50 ლარი) საფასური.
- კანდიდატს გადაეცემა შემფასებლის მიმოხილვა თავის ნაშრომზე.
- პირველ ცდაზე წარუმატებლობის შემთხვევაში, მომდევნო საგამოცდო პერიოდში კანდიდატს შესაძლებლობა ექნება, ხელახლა ჩააბაროს გამოცდა. გამოცდაზე მეორედ გასვლის შემთხვევაში, კანდიდატი გადაიხდის გამოცდისთვის დადგენილი საფასურის 50 პროცენტს.
- კანდიდატის ნამუშევრები, გამოცდების დამთავრებიდან სამი თვის განმავლობაში, ინახება საგამოცდო კომისიაში.

გამოცდებისათვის დადგენილი წესები

გამოცდაზე ქცევის წესები

- კანდიდატი გამოცდაზე უნდა გამოცხადდეს მის დაწყებამდე სულ მცირე **30 წუთით ადრე**;
- დაგვიანების შემთხვევაში კანდიდატი გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამოცდის დაწყებიდან არ იქნება გასული 30 წუთზე მეტი;
- გამოცდის დაწყებამდე ყველა **კანდიდატმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი აუდიტორიაში**;
- კანდიდატმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს **ბაფის წევრობისა და პირადობის დამადასტურებელი (სურათიანი) მოწმობები**;
- კანდიდატი ვალდებულია, საგამოცდო მაგიდაზე გამოცდის დამთავრებამდე ედოს პირადობისა და ბაფის მოწმობა და გამორთული მობილური ტელეფონი;
- კანდიდატმა **თან უნდა იქონიოს კალკულატორი, კალამი** - ეს ნივთები გამოცდაზე არ გაიცემა;
- ხელჩანთები საგამოცდო აუდიტორიაში უნდა მოთავსდეს **ზედამხედველის მიერ შესაბამისად გამოყოფილ მაგიდაზე**;
- კანდიდატს საგამოცდო წესების დარღვევად ჩაეთვლება **ჰოლში ლიტერატურით სარგებლობა**;
- კანდიდატებს გამოცდის მიმდინარეობისას ეკრძალებათ **ერთმანეთთან საუბარი**;

- კანდიდატს საგამოცდო სივრცის დატოვების უფლება აქვს მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ გამოცდაზე მეთვალყურის ნებართვით, გამოცდის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ;
- კანდიდატს უფლება არა აქვს საგამოცდო სივრცე დატოვოს გამოცდის დასრულებამდე ბოლო 30 წუთის განმავლობაში;
- გადაწერის ან გადაჩურჩულების მცდელობისას, კანდიდატი **მოიხსნება გამოცდიდან**.
- კანდიდატმა **მუშაობა უნდა შეწყვიტოს** ზედამხედველის მიერ გამოცდის დამთავრების შესახებ გამოცხადებისთანავე.

აკრძალვა

- აკრძალული და დაუშვებელია საგამოცდო ოთახებში შემდეგი ნივთების შეტანა:
 - რვეულები, ქაღალდები, მოდულები, ან სხვა სასწავლო მასალა ნებისმიერ ფორმატში, ან ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მატარებელი საგანი, გარდა ბაფის მიერ დამტკიცებულია;
- აკრძალულია სხვისი ხელისშემშლელი მოქცევა და ასევე წერის დაწყება, ან გაგრძელება გამოცდის ოფიციალურად დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ, ან გამოცდის შეჩერების დროს.

სხვა წესები

- თუ გამოცდაზე დარეგისტრირების შემდეგ **ვერ ახერხებთ გამოცდაზე გასვლას**, გამოცდის თანხა კრედიტში შეგენახებათ.
- გამოცდის შედეგის გასაჩივრება მოხდება გამოცდის შედეგის გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში მისამართზე: წერეთლის გამზირი #61. მითითებული დროის შემდეგ განცხადებები აღარ მიიღება.